თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 3 დეკემბერი
მორიგი სხდომის
ოქმი № 12

ქ. თერჯოლა

3 დეკემბერი 2021 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

რეგისტრაციის მიხედვით ახლადარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომას ესწრებოდა საკრებულოს სიითი შემადგენლობის 30 წევრი :

1. გიორგი ზარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20. რამინი როზაქიძე, 21. თამარ ახვლედიანი, 22. ამბერკი დოლაკიძე, 23. დავით ცხადაძე, 24. ნატალია ასათიანი, 25. კობა კირკიტაძე, 26. მერაბ ბასილაძე, 27. ლევან კვატაია, 28. რუსუდან კოვზირიძე, 29. როლანდი მესხი, 30. ივანე ჩუბინიძე.

დღის წესრიგი:

1. პირველი სხდომის გახსნა. საოლქო საარჩევნო კომისიის მოხსენება - არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედეგების გამოცხადება;

   მომხს.: თერჯოლის № 49 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. სირაძე

2. ხმის დამთვლელი დროებით კომისიის არჩევა;

   მომხს.: საკრებულოს უხუცესი წევრი, სხდომის თავმჯდომარე

3. სამანდატო დროებით კომისიის არჩევა;

   მომხს.: საკრებულოს უხუცესი წევრი, სხდომის თავმჯდომარე

4. საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა;

   მომხს.: საკრებულოს უხუცესი წევრი, სხდომის თავმჯდომარე
   თანამომხს.: სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე

5. სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოხსენება ფრაქციების რეგისტრაციის შესახებ;

   მომხს.:სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე

6. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

მომხს.: საკრებულოს უხუცესი წევრი, სხდომის თავმჯდომარე

თანამომხს.: სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე

7. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.

მომხს.: საკრებულოს თავმჯდომარე

1.

მოისმინეს: საკრებულოს სხდომა გახსნა N49 თერჯოლის საოლქო- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნაზი სირაძემ, რომელმაც საკრებულოს მოახსენა 2021 წლის 2 ოქტომბერს გამართული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შედეგებზე და არჩეულ საკრებულოს წევრთა შესახებ ინფორმაცია (მოხსენება და არჩევნების საბოლოოო შედეგების მასალები თან ერთვის).
მომხსენებელმა მოხსენების დამთავრების შემდეგ დაასახელა საკრებულოს უხუცესი წევრი ბატონი ამირან ვერულაშვილი და შესთავაზა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეობა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ვერულაშვილი მიესალმა საკრებულოს, მიულოცა პირველი სხდომის შეკრება და გააცნო დღის წესრიგი.

საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი დღის წესრიგით მუშაობას.

2.მოისმინეს: ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომაზე ღია და ფარული კენჭისყრის დათვლის პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით დააყენა საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის საკითხი სამი წევრის შემადგენლობით და საკრებულოს შესთავაზა კომისიის წევრების კანდიდატთა დასახელება.

კომისიის წევრებად კანდიდატები დასახელდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. იზა მაგრაქველიძე - გოჩა ვერულაშვილმა
2. ლამა გურგენიძე - ზიძინა ბუცხრიკიძემ
3. კობა კაკაძე - ომარი ჯიხვაშვილმა

კომისიის წევრთა ასარჩევად ჩატარდა სახელობითი ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 24-ე მუხლის პირველი ნაწილის,,ბ''პუნქტის, ,,ბ.დ'''ქვეპუნქტის ,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილების 41-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად ,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

არჩეულ იქნას საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. იზა მაგრაქველიძე

2. ლაშა გურგენიძე

3. კობა კაცაძე

(განკარგულება № გ-29.29213372 , 03.12.2021 წ. წელი)

3. მოისმინეს: სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკრებულოს წევრთა და საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის, აგრეთვე ფრაქციათა რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით საჭიროა აირჩეს საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისია სამი წევრის შემადგენლობით და საკრებულოს შესთავაზა კომისიის წევრების კანდიდატთა დასახელება.

კომისიის წევრებად კანდიდატები დასახელდა შემდეგი თანმიმდევროზით:

1. ბადრი ბუცხრიკიძე - გიორგი ბარათაშვილმა
2. მანუჩარ ფანჩულიძე - ნინო ჩხიკვაძემ
3. შალვა ჭანკვეტაძე - ჯემიკო ისაკაძემ

კომისიის წევრთა ასარჩევად ჩატარდა სახელობითი ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საკრებულოს წევრთა და საკრებულოს უფლებამოსილების ცნობასთან, აგრეთვე საკრებულოს ფრაქციების შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების მომზადებისა და საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით არჩეულ იქნას საკრებულოს **სამანდატო დროებითი** კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ბადრი ბუცხრიკიძე

2. მანუჩარ რობაქიძე

3. შალვა ჭანკვეტაძე

(განკარგულება № გ-29.29213374, 03.12.2021 წ.)

სხდომის თავმჯდომარემ სამანდატო კომისიას გადასცა N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო მასალები და დაავალა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხებისა და არსებობის შემთხვევაში ფრაქციების შექმნასთან დაკავშირებით განცხადებების განხილვა, რისთვისაც გამოაცხადა შესვენება 20 წუთით.

შესვენების შემდეგ სხდომა გაგრძელდა 12[35]საათზე. ხელახალი რეგისტრაციის მიხედვით საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა პერსონალური შემადგენლობა და რაოდენობა არ შეცვლილა(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხთან დაკავშირებით,დასკვნის წარმოდგენის მიზნით სიტყვა გადასცა სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარეს ბადრი ბუცხრიკიძეს.

4.მოისმინეს: საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა,რომ კომისიამ N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეისწავლა საკრებულოში არჩეულ წევრთა არჩევის კანონიერება, საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და რაიმე სახის კანონდარღვევა არ გამოვლინდა. არ მიმდინარეობს სასამართლო წარმოება ახლადარჩეულ საკრებულოს წევრების მიმართ, საკრებულოს ყველა წევრი არჩეულია კანონიერად და მიზანშეწონილია ცნობილ იქნეს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება წარმოდგენილი სიის მიხედვით (ოქმი და დასკვნა თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" -ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის თანახმად, №49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის N 1 დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

ცნობილ იქნეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება დანართის მიხედვით (განკარგულება №g-29.29213371, 03.12.2021 წ.).

დანართი

2021 წლის მე-5 მოწვევის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სია

მუხლი 1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულნი საკრებულოს წევრები:

№	სახელი და გვარი	წარმდგენი	პარტიულობა
1	ელისო მურადაშვილი	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"
2	გრიგოლ გიორგაძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"
3	მერაბი ბასილაძე	მ.პ.გ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უპარტიო
4	რიცლანდი მესხი	მ.პ.გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის	მ.პ.გ ევროპული საქართველო
5	გიორგი ვერულაშვილი	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"
6	ჯემალი ისაკაძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
7	მაღვა ჭანკვეტაძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
8	ბადრი ბუცხრიკიძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
9	დავით გოგბერაშვილი	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"

10	მანუჩარ ფანჩულიძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო

მუხლი 2. პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულნი საკრებულოს წევრები:

№	სახელი და გვარი	წარმდგენი	პარტიულობა
1	გიორგი ბარათაშვილი	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
2	ამირან ვერულაშვილი	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
3	ნინო ჩხიკვაძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
4	თემური ქოჩიაშვილი	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"
5	ლაშა გურგენიძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"
6	იზა მაგრაქველიძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"
7	ბიძინა ბუცხრიკიძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	მ.პ.გ „ქართული ოცნება"
8	კობა კაცაძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
9	ნინო მახათაძე	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
10	ომარი ჯიხვაშვილი	მ.პ.გ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	უპარტიო
11	კახა ბუცხრიკიძე	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
12	რამინი რობაქიძე	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
13	თამარ ახვლედიანი	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
14	ამპარო დოლაკიძე	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უპარტიო
15	დავით ცხადაძე	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
16	ნატალია ასათიანი	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უპარტიო
17	კობა კირკიტაძე	მ.პგ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უპარტიო
18	ლუკანი კვატაია	მ.პ.გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის	უპარტიო
19	რუსუდან კოვზირიძე	მ.პ.გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის	უპარტიო
20	ივანე ჩუბინიძე	„გახარია-საქართველოსთვის"	უპარტიო

5. განცხადება:

სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს სხდომას აცნობა და გააცნო განცხადებები ფრაქციების „ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს, „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და „ევროპული საქართველოს" დაფუძნების შესახებ.

სამანდატო დროებითი კომისიამ დაადგინა, რომ ფრაქციების თავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ფრაქციის დამფუძნებელი კრების ოქმი, ფრაქციის წესდება, რომელიც არის ფრაქციის რეგისტრაციის საფუძველი. აქედან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 30-ე, 38-ე მუხლებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 7 დადგენილების 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად , სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის №2 დასკვნის საფუძველზე ,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

ცნობად იქნას მიღებული სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბერის დასკვნა № 2 ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" დაფუძნების შესახებ და ფრაქცია გატარდეს რეგისტრაციაში (განკარგულება №g-29.29213378, 03.12.2021 წ.).

ცნობად იქნას მიღებული სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბერის დასკვნა № 2 ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „ დაფუძნების შესახებ და ფრაქცია გატარდეს რეგისტრაციაში (განკარგულება №g-29.292133710, 03.12.2021 წ.).

ცნობად იქნას მიღებული სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბერის დასკვნა № 2 ფრაქცია „ევროპული საქრთველოს" დაფუძნების შესახებ და ფრაქცია გატარდეს რეგისტრაციაში (განკარგულება №g-29.29213379, 03.12.2021 წ.).

6. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის შესაბამისად დააყენა საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს სამ წევრს და საკრებულოს თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით. შესთავაზა საკრებულოს წევრებს თავმჯდომარის კანდიდატის დასახელება.

საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად გოჩა ვერულაშვილმა ფრაქციის სახელით დაასახელა გიორგი ბარათაშვილი.
კანდიდატმა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე, არის თუ არა თანახმა კენჭი იყაროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად, განუცხადა თანხმობა.

კენჭისყრის დაწყებამდე განცხადება გააკეთა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ კახა ბუცხრიკიძემ - მან ფრაქციის სახელით უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობაზე და დატოვეს სხდომათა დარბაზი.

კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ფრაქცია „ ევროპულმა საქართველომ" და საკრებულოს წევრმა ივანე ჩუბინიძემ პარტია - „გახარია საქართველოსთვის".
გამოცხადდა შესვენება 15 წუთი.

შესვენების შემდეგ სხდომა გაგრძელდა 13[10]საათზე . ხელახალი რეგისტრაცია გაიაარა 22 დეპუტატმა (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარის ასარჩევად გაიმართა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი -0

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 22 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 წევრმა(/ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის ფარული კენჭისყრის ოქმი და მასალები თან ერთვის).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის,,ბ"პუნქტის ,,ბ.ბ"'ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-5, მე-6 ნაწილების და 33-ე მუხლის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 98-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა: არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი გიორგი ბარათაშვილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ (განკარგულება №g-29.29213373, 03.12.2021 წ.)

უხუცესმა წევრმა საკრებულოს თავმჯდომარეს შესთავაზა დაიკავოს თავმჯდომარისათვის განკუთვნილი ადგილი.

7. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა დღის წესრიგის შესაბამისად დააყენა საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს და აირჩევა საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად დაასახელა დავით გოგბერაშვილის კანდიდატურა, რომელმაც თანხმობა განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობის დასაკავებლად. გამოცხადდა შესვენება 10 წუთი.

შესვენების შემდეგ სხდომა გაგრძელდა 13[45]საათზე . ხელახალი რეგისტრაციის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა 21 დეპუტატმა (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად გაიმართა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი -0

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 21 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 წევრმა.

/ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის ,ფარული კენჭისყრის ოქმი და მასალები თან ერთვის/

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის,,ბ"პუნქტის,,ბ.ბ"'ქვეპუნქტის,26-ე მუხლის მე-5,მე-6 ნაწილების და 36-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი დავით გოგბერაშვილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ(განკარგულება №გ-29.29213377, 03.12.2021 წ.).

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად დაასახელა ჯემალ ისაკაძის კანდიდატურა, რომელმაც თანხმობა განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დასაკავებლად. გამოცხადდა შესვენება 10 წუთი.

შესვენების შემდეგ სხდომა გაგრძელდა 14[00]საათზე . ხელახალი რეგისტრაციის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა 21 დეპუტატმა (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად გაიმართა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი -1

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 21 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 წევრმა.

/ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის ,ფარული კენჭისყრის ოქმი და მასალები თან ერთვის/

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 24-ე მუხლის პირველი ნაწილის,,ბ''პუნქტის,,ბ.ბ'' ქვეპუნქტის,26-ე მუხლის მე-5,მე-6 ნაწილების და 36-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი ჯემალ ისაკაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ(განკარგულება №გ-29.29213376, 03.12.2021 წ.).

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად დაასახელა ნინო ჩხიკვაძის კანდიდატურა, რომელმაც თანხმობა განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დასაკავებლად. გამოცხადდა შესვენება 10 წუთი.

შესვენების შემდეგ სხდომა გაგრძელდა 14[34]საათზე . ხელახალი რეგისტრაციის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა 21 დეპუტატმა (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად გაიმართა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი -0

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 21 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 წევრმა.

/ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის ,ფარული კენჭისყრის ოქმი და მასალები თან ერთვის/

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 24-ე მუხლის პირველი ნაწილის,,ბ''პუნქტის,,ბ.ბ'' ქვეპუნქტის,26-ე მუხლის მე-5,მე-6 ნაწილების და 36-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი ნინო ჩხიკვაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ(განკარგულება №g-29.29213375, 03.12.2021 წ.).

საკრებულოს პირველი სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს პირველი სხდომა დახურულად გამოაცხადა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი